სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

23.12.2021

მანათლებლის ხარისხის მანვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლესი განათლების და ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილებები

- **კანონის ტერმინთა განმარტებებს ემატება შემდეგი ცნებები:**

✓ <u>სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა</u> - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისგან დამოუკიდებელი, შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს

✓ <u>სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი</u> - დოკუმენტი, რომელიც გაიცემა სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად

✓ <u>საბაზო პროფესიული უნარების გამოცდა</u> - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული გამოცდა, რომლის წარმატებით ჩაბარებაც არის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობა

მანათლების ხარისხის მანვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლესი განათლების და ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილებები

- **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილება:**

- ✓ ამტკიცებს პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე/სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე **მიღების წესს/წესებს**, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე/სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის **სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესს/წესებს** და მასწავლებლის მომზადების/სპეციალური მასწავლებლის მომზადების **სერტიფიკატის გაცემის წესს/წესებს**

- ✓ სამინისტრომ **2024 წლის პირველ იანვრამდე**, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინებით და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით უზრუნველყოს საბაზო პროფესიული უნარების გამოცდის ჩატარების წესის, პირობების და საფასურის დამტკიცება

მანათლების ხარისხის მანვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლესი განათლების და ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილებები

- **მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

✓ **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის** მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის საგნობრივ და მეთოდურ მოდულს;
- თავისუფალი კომპონენტების მოდულს;
- **სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდულს**;
- სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულს.

✓ **მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული** საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს:

- საგნის/საგნობრივი ჯგუფის მოდულს;
- მასწავლებლის მომზადების მოდულს;
- თავისუფალი კომპონენტების მოდულს;
- სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულს;
- **სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდულს**.

მანათლებლის ხარისხის მანვითარებლის ეროვნული ცენტრი

უმაღლესი განათლების და ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილებები

- **მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

- ✓ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდულის გავლის შემთხვევაში, პირს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ აკადემიურ ხარისხთან ერთად პირს მიენიჭება **სპეციალური მასწავლებლობის უფლება, რაც აისახება დიპლომის დანართში**

- ✓ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი **მოდულების კრედიტების რაოდენობა** დგინდება შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლებით

მანათლების ხარისხის მანვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლესი განათლების და ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილებები

- **სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - ახალი მუხლი დაემატა კანონს:**

- ✓ სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის შესაბამის **სტანდარტზე** დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

- ✓ სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს არანაკლებ **ბაკალავრის** ან **მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის** მქონე პირს, რომელსაც ჩაბარებული აქვს საბაზო პროფესიული უნარების გამოცდა

- ✓ სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს **60 კრედიტს** და ისწავლება არანაკლებ 1 სასწავლო წლის განმავლობაში

მანათლების
ხარისხის მანვითარების
ეროვნული ცენტრი

უმაღლესი განათლების და ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილებები

- **სპეციალური მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- ✓ უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების **ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამის ან **მაგისტრატურის** საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით) და **ჩაბარებული ჰქონდეს სპეციალური მასწავლებლის გამოცდა** ან **მოპოვებული ჰქონდეს** სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის დამადასტურებელი **სერტიფიკატი**

- ✓ უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების **ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და ამ პროგრამის ფარგლებში **გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდული**

- ✓ უნდა ჰქონდეს სულ მცირე **ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი** და **გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა** ან **ჩაბარებული ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის გამოცდა** ან **მოპოვებული ჰქონდეს** სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის დამადასტურებელი **სერტიფიკატი**

მანათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი

უმაღლესი განათლების და ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილებები

- სპეციალური მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

✓ უნდა ჰქონდეს **მასწავლებლობის უფლება** უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით ან სულ მცირე **ფსიქოლოგის ბაკალავრის ან ოკუპაციური თერაპევტის** აკადემიური ხარისხი და ჩაბარებული ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის გამოცდა ან **მოპოვებული ჰქონდეს** სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის დამადასტურებელი **სერტიფიკატი**

✓ უნდა ჰქონდეს სპეციალური განათლების **დოქტორის აკადემიური ხარისხი**

მანათლებლის ხარისხის მართვისა და განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლესი განათლების და ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილებები

- **სპეციალური მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების გარდამავალი პერიოდი:**

- ✓ 2018 წლის 10 აგვისტომდე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული **სპეციალური პედაგოგი/სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი და ინკლუზიური განათლების კოორდინატორი**, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სპეციალური მასწავლებლის განათლებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ჩაითვალოს **პრაქტიკოს სპეციალურ მასწავლებლად**

- ✓ პრაქტიკოსი სპეციალური მასწავლებელი ვალდებულია კომპეტენციის დადასტურების მიზნით **2025 წლის 1 იანვრამდე** ჩააბაროს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის გამოცდა

- ✓ პირს, რომელსაც აქვს მასწავლებლის მომზადების **ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის** ან **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი** (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით) უფლება აქვს დასაქმდეს პრაქტიკოს სპეციალურ მასწავლებლად და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის **გამოცდა ჩააბაროს აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში, არაუგვიანეს 2025 წლის 1 იანვრისა**

- ✓ პირს, რომელსაც აქვს **მასწავლებლობის უფლება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით ან სულ მცირე ფსიქოლოგის ბაკალავრის ან ოკუპაციური თერაპევტის აკადემიური ხარისხი** უფლება აქვს დასაქმდეს პრაქტიკოს სპეციალურ მასწავლებლად და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის **გამოცდა ჩააბაროს აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში**, არაუგვიანეს 2025 წლის 1 იანვრისა.

მანათლებლის ხარისხის მართვისა და განვითარების ეროვნული ცენტრი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი

- **დარგობრივი მახასიათებელი** დამტკიცდა ცენტრის დირექტორის 2021 წლის 21 დეკემბრის №1398735 ბრძანებით - https://eqe.ge/ka/page/static/946/umaghlesi-ganatlebis-kvalifikaciebis-ganvitareba

- **დარგობრივი მახასიათებელი ეფუძნება:**
  - სპეციალური მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს
  - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონით განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს
  - დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს
  - საერთაშორისო პრაქტიკასა და სტანდარტებს

- **დარგობრივი მახასიათებლის მიზანია** ისეთი პროფესიონალების მომზადების ხელშეწყობას, რომლებსაც თანამედროვე გამოწვევების ფონზე ექნებათ **მიმღებლობა** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მიმართ, ნათლად ექნებათ გააზრებული სპეციალური მასწავლებლის **როლი** და **პასუხისმგებლობა** სწავლება-სწავლის პროცესში

მანათლებლის ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი

- დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის დამადასტურებელი სერთიფიკატის მისანიჭებლად აუცილებელ **მინიმალურ სავალდებულო სწავლის შედეგებს** (ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა), მათ მისაღწევად საჭირო სწავლება–სწავლის, შეფასების მიდგომებს და სხვა არსებით მახასიათებლებს

- დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული **დებულებები სავალდებულოა შესასრულებლად** ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, სადაც განხორციელდება სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

- საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი, მისი განხორციელების გზები, ასევე სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ **ავტონომიურად** საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

- დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა განისაზღვრება **7 წლით**

მანათლების ხარისხის მანვითარების ეროვნული ცენტრი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი

- სპეციალური მასწავლებლის მომზადება ემსახურება **საგანმანათლებლო ინსტიტუციებში** (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში და ა.შ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი **კვალიფიკაციის, ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობების** მქონე პირის მომზადებას

- სპეციალური საჭიროება გულისხმობს: სირთულეებს ან შეზღუდულ შესაძლებლობას, რომელსაც აწყდება მოსწავლე სწავლის პროცესში და რომლის დაძლევაც სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს შემდეგ სფეროებში: **აკადემიური უნარები** (კითხვა, წერა, ანგარიში), **ინფორმაციის გაგება, გააზრება, საკუთარი აზრის და შეხედულებების გადმოცემა, ქცევის მართვა, ურთიერთობა თანატოლებთან, მოწესრიგებულობა, სხვადასხვა სახის სენსორული და ფიზიკური დარღვევები, გრძელვადიანი მკურნალობის ან ჰოსპიტალიზაციის შემდგომი საჭიროება, უმცირესობების წარმომადგენლობა ან სოციალური დაუცველობა**

- დარგობრივი მახასიათებლით **დაშვების წინაპირობად** განსაზღვრულია საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში და ა.შ. **სწავლების არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება**

მანათლებლის ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი

- **სწავლის შედეგები:**
- სწავლის შედეგები მიმართულია იმ **ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის** შეძენა/განვითარებისაკენ, რომელიც კურსდამთავრებულს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე სწავლის დასრულებისას
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას შეუძლია **საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა** და **დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების**, სპეციალური განათლების სფეროს განვითარების მიზნით **დამატებით სხვა სწავლის შედეგების განსაზღვრაც**
- **სწავლის შედეგები განსაზღვრულია სამი კრიტერიუმით:**
  - ✓ ცოდნა და გაცნობიერება
  - ✓ უნარი
  - ✓ პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

მანათლებლის ხარისხის მანვითარებლის ეროვნული ცენტრი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი

- **ცოდნა და გაცნობიერება:**
  - **ახდენს** ზოგადი ცოდნის დემონსტრირებას ინკლუზიური განათლების არსის, მისი ძირითადი პრინციპებისა და მახასიათებლების, სპეციალური და ინკლუზიური განათლების ისტორიული და ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ
  - **განსაზღვრავს** ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის: აკომოდაციის/მოდიფიკაციის სახეებსა და მის მნიშვნელობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში
  - **აანალიზებს** ბავშვის განვითარების კანონზომიერებებს და მის ხელშემწყობ ფაქტორებს, აღწერს განვითარების დარღვევებს და მათ გამოვლინებებს, რომელიც ხელს უშლის ინდივიდს სწავლასა და დამოუკიდებელ ფუნქციონირებაში
  - **აანალიზებს და არგუმენტირებულად ასაბუთებს** თუ რა გავლენას ახდენს გარემოში არსებული მოლოდინები, მნიშვნელოვანი უფროსების დამოკიდებულება და უკუკავშირი ინდივიდის აკადემიურ მიღწევასა და ქცევაზე
  - **ასაბუთებს** ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში გუნდური მიდგომის მნიშვნელობას სხვა მასწავლებლებთან, სპეციალისტებთან, სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე პირებთან და ოჯახებთან თანამშრომლობისა და მათი მხარდაჭერის აუცილებლობას

მანათლებლის ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი

- **უნარი:**
  - **ამოიცნობს** ინდივიდის სავარაუდო სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას და უზრუნველყოფს დროულ რეფერირებას შესაბამის სპეციალისტთან
  - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის წევრებთან ერთად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასების საფუძველზე, **ადგენს და ახორციელებს** ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას
  - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის წევრებთან ერთად, **გეგმავს და ახორციელებს** აქტივობებს/პროგრამას სასწავლო გარემოში თანატოლებს შორის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხელშეწყობის მიზნით
  - **მონაწილეობს** საგანმანათლებლო სისტემის სხვადასხვა საფეხურზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ტრანზიციის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში
  - **წარმართავს** განათლების პროცესს უნივერსალური სასწავლო დიზაინის პრინციპების შესაბამისად

მანათლებლის ხარისხის მართვისა და განვითარების ეროვნული ცენტრი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი

- **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**
  - ✓ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას **იცავს** პროფესიულ ეთიკას
  - ✓ **მუშაობს** მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის პრინციპების საფუძველზე
  - ✓ **განსაზღვრავს** საკუთარ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს პროფესიულ განვითარებას

მანათლებლის ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი

- **სწავლება, სწავლა და შეფასება:**
  - ✓ პროგრამა სწავლება-სწავლისა და შეფასებისას უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს
  - ✓ სწავლება–სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
  - ✓ პროგრამაზე ჩარიცხული პირის შეფასების კომპონენტები და მეთოდები პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლებელია მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს ჩარიცხული პირის ცოდნის, უნარის და კომპეტენციის შეფასებას
  - ✓ პრაქტიკული კომპონენტი ემსახურება პროგრამაზე ჩარიცხული პირების **პრაქტიკული უნარების განვითარებას** და პროგრამის განუყოფელი ნაწილია
  - ✓ პროგრამა უნდა მოიცავდეს **სასკოლო პრაქტიკას არანაკლებ 10 ECTS კრედიტის** მოცულობით, პროგრამის ფარგლებში ასევე შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა

მანათლებლის
ხარისხის მანვითარებლის
ეროვნული ცენტრი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი

- ადამიანური და მატერიალური რესურსები:
- **პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:**
  - ✓ არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი სპეციალური განათლების, განათლების ან/და ფსიქოლოგიის მიმართულებით, და ინკლუზიური განათლების სფეროში სწავლების ან/და მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება
- **სკოლაში პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული პირი უნდა** აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:
  - ✓ ინკლუზიური განათლების სფეროში სწავლების ან/და მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, არანაკლებ უფროსი მასწავლებელი ან/და უფროსი სპეციალური მასწავლებელი ან/და ფსიქოლოგი
- პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება **პარტნიორ სკოლებში**, ასევე საგანმანათლებლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის განხორციელება შესაძლებელია იმ ორგანიზაციებში, რომლებიც ახორციელებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სწავლებას ან/და დამატებითი სერვისების მიწოდებას.
- **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** თავად განსაზღვრავს პრაქტიკის ფორმას და მისი განხორციელების ადგილს არსებული რესურსების, ინფრასტრუქტურის და საგანმანათლებლო პროგრამების მიზნის, შინაარსისა და შედეგების მიღწევის გზების გათვალისწინებით

მანათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი

განსახორციელებელი აქტივობები

- სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის შემუშავება
- სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის შემუშავება
- სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემის წესის შემუშავება
- სპეციალური მასწავლებლის სამაგისტრო საფეხურის პროგრამისთვის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება
- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის განახლება

მანათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი

გმადლობთ ყურადღებისთვის!